№ 189 სექტემბერი 7, ხუთშაბათი 1889 სექტემბერი 7, ხუთშაბათი № 189


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მღვდლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

პარაკლისი და დაწყება სწავლისა 4-ს სექტემბერს იქნება. (15—13)



პარიჟის გამოფენაზე იწვევენ ლეკურის მოთამაშეთა ქალებსა და ვაჟებს. მსურველთ უნდა მიჰმართონ

სასტუმრო კავკაზში

№ 21, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—3)


ტფილისი, 6 სექტემბერი

10-ს, ან 15-ს ამ თვისას, როგორც დღევანდელს ახალ ამბებში მოხსენებული, ქართული დრამატიული დასი აპირებს ქართულის თეატრის ათის წლის არსებობისა და მოღვაწეობის გადახდას, რის გამოც შესაფერად და ჯეროვანად ემზადება. რასაკვირველია, ამ ამბავს ყურადღებას ათხოვებს ჩვენი საზოგადოება, რომელსაც შემთხვევა ეძლევა თვალ-წინ დაიყენოს თავისის თეატრის მთელის ათის წლის მოქმედება, დააფასოს იმისი სამსახური და ჩაუკვირდეს იმისს ღირსებასა და ნაკლულევანებას. განსაკუთრებით ამით იქნება ეს დღეობა შესანიშნავი და საგულისხმო, და იმედიც არის, რომ ეს დღეობა უმნიშვნელოდ და უნაყოფოდ არ ჩაივლის არც საზოგადოებისათვის და არც თვით ქართულის თეატრისათვის.

ეხლა, სანამ დრამატიული დასი თავისს განზრახვას საქმედ აქცევდეს, მსწრაფლ თვალი გადავავლოთ ჩვენის თეატრის ათის წლის მოღვაწეობას, შეძლებისამებრ აღვნიშნოთ იმისი გზა-კვალი და დავასურათოთ მისი სამსახური. მართალია, ათი წელიწადი ბევრი არაფერია ადამიანთა ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენის ნორჩის თეატრისათვისკი მთელი ეპოქაა, რომლის განმავლობაში ქართულმა სცენამ ფეხი აიდგა, სამუდამოდ დამკვიდრდა, საკუთარი ფერი და იერი შეიძინა და მთელს ჩვენს ცხოვრებას თავისი ბეჭედი დააჩნია. ამ ათისა და თხუთმეტის წლის წინად მთელს საქართველოში ქართული წარმოდგენა იშვიათად და შემთხვევით იმართებოდა. წარმოდგენისათვის არც საკმაო ძალ-ღონე მოიპოვებოდა, არც საკმაო პიესები, და თეატრის საქმე მთლად სცენის მოყვარეთა ხელში იყო მოთავსებული, რომლებიც თუმცა გულიანად, მაგრამ შემთხვევით ჰკიდებდნენ საქმეს ხელს. ანისდა მიუხედავად ჩვენს საზოგადოებაში გაძლიერდა და დამკვიდრდა თეატრის სიყვარული და მთელმა ქართველობამ იგრძნო, თუ რამდენად საჭირო და სასიკეთოა სამუდამო თეატრი. სწორედ ამ დროს დაარსდა ქართული დრამატიული დასი, მას შემდეგ ტფილისში ქართული თეატრი არ გადავარდნილა და წლიდგან წლამდე იმართებოდა წარმოდგენა. პირველ ხნობით ქართულს თეატრს არ მოეპოვებოდა არც გამოცდილი, დახელოვნებული მოთამაშე, არც ვრცელი რეპერტუარი და ამიტომ იმის ფეხის ადგმა მეტად ძნელი და საეჭვო იყო, მაგრამ სცენის მოღვაწეთა მხნეობამ და გამჭრიახობამ სძლია ყველა დაბრკოლებას და სამუდამოდ დაამკვიდრა ჩვენში თეატრი. საზოგადოების წასახალისებლად საჭირონი იყვნენ ნიჭიერნი მოთამაშენი, რომლებიც, ქართულის თეატრის საბედნიეროდ, კიდეც გამოჩნდნენ. სამუდამო თეატრის დაარსების პირველის დღიდგან ქართულს სცენაზე თავი იჩინა ნიჭიერ მოთამაშეთა მთელმა გუნდმა, რომელმაც საზოგადოებას იმდენად გაუორკეცა თეატრის პატივისცემა და სიყვარული, რომ დღეს, არამც თუ ქალაქებში, არამედ დაბებსა და სოფლებშიაც კი იმართება ხოლმე წარმოდგენა. ამ მოთამაშეთ ათის წლის განმავლობაში საუცხოვო ნიჭთან ერთად საკმაო ბეჯითობა, საქმის სიყვარული და ერთგულება გამოიჩინეს და იმდენად გავარჯიშდნენ და დახელოვდნენ, რომ სხვა უფრო დაწინაურებულისა და დიდის ხნის სცენის მოღვაწეთაც არ ჩამოუვარდებიან. ამასთანავე ქართულმა თეატრმა, რომელიც მოკლებული იყო ვრცელს რეპერტუარს, გამოიწვია დრამატიულის ხელოვნების სარბიელზედ მრავალი მწერალი და მთარგმნელი, რომელთაც დიდ-ძალი დედანი, თუ ნათარგმნი პიესა შესძინეს სამშობლო სიტყვიერებასა და თეატრს. ამ სახით ამ ათის წლის განმავლობაში ქართულმა თეატრმა შესძინა საზოგადოებას მთელი გუნდი ნიჭიერ და დახელოვნებულ მოთამაშეთა და ვრცელი რეპერტუარი, შეაყვარა საზოგადოებას ქართული სცენა და დღესაც სწვრთნის ახალ-ახალ მოთამაშეთ.

## ფელეტონი

### ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად თ. ა. ი. სუმბათაშვილისა.

VIII *)

ნინო, პროპორიევი და არინა.

პროპორ. (სიგარას ამოიღებს ჯიბიდგან, მოუკიდებს და სავარძელში გადაიჭიმება) დასაწყისი საუცხოვოა! ეგ კაჰკაჰების ხროვა მართლაც რომ ჟანდარმების რაზმს არაფრით ჩამოუვარდება. თავი მატკინეს, იმდენი ილაქლაქეს და იყაყანეს.

ნინო. (სტუმრების წასვლის შემდეგ მაშინვე თითქმის ერთიან შეიცვლება. სასუზედა და მოძრაობაზედ ეტყობა, რომ საშინლად მოქანცული და მოღალულია) ოჰ, როგორ მომაბეზრა თავი ამდენმა ვაი-ვაგლახმა.

პროპორ. რაო, სევდის ქარმა მოგიარათ.

ნინო. ჰო...

პროპორ. კარგი იქნებოდა, რომ ეხლა მაინც თავი დაგვენებებინათ მაგ ქარებისათვის... სახუმრო საქმე არა მაქვს მოსალაპარაკებელი.

ნინო. ის ემჯობინება, რომ წახვიდეთ სადმე.

პროპორ. წახვიდეთ სადმე! პირველი გაგონება არ არის ჩემთვის ეგ თქვენი „წახვიდეთ სადმე“ და „თავი დამანებეთ“. თქვენის ჟინიანის ხასიათის გამო თითქმის ყველაფერი დაგვეკარგა და ხელიდგან გამოგვეცალა.

ნინო. ნუ სტყუით, თქვენ არა დაგკარგვიათ-რა.

პროპორ. რაც მე დავკარგე, ის ფულზედ ძვირფასია. მე დავკარგე სახელი, შევიბღალე და შევირცხვინე, დავკარგე სწორედ ის, რაც თქვენს პირველს ნაბიჯს გაუხდა საფეხურად. პეტერბურგში ყველა ბედნიერების მძებნელს ქმრიანს ქალს არა ჰღირსებია იმ საზოგადოებაში ყოფნა, რომელშიაც მე გატარებდით. მერე რა გამოვიდა აქედგან? ამ თორმეტის წლის განმავლობაში თითქმის ყოველს ნაბიჯზე გეხმარებოდით, თავზე გადექით და გზას გიკვლევდით, თქვენ-კი ეხლაც ვერ გამოიხსენით განსაცდელისაგან თავი, ეხლა, როდესაც ციმბირს გვიქადიდნენ, და ბოლოს საქმე იმითი გადასწყდა, რომ სატახტო ქალაქიდგან გამოგვაძევეს. თუ ეხლაც, თქვენის სევდიანობისა და რაღაც ქარების წყალობით, კაი ძალი ფული არ ავავლიჯეთ თქვენს ქმარს, პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ ისე მოგიშორებთ და ისე ადვილად დაგანებებთ თავს, როგორც ძველს ხელთათმანს მოისვრიან ხოლმე.

ნინო (არხეინად) ძალიან კარგი, ეგრე მომექეცით, თუ მანამდე მე თითონ არ დაგითხოვეთ და ოთხივ-კუთხივ გზა არ გიჩვენეთ.

პროპორ. რაო-ო?!

ნინო. გიკვირთ ეს ამბავი.

პროპორ (ჩაიცინებს) ძალიან, ძალიან მიკვირს. აგრე მოქცევა ჯერ ჩემთან ვერავის გაუბედნია და თქვენ ხომ...

ნინო. მე ხომ, რაღა თქმა უნდა, ვერა და ვერ გაგიბედავთ განა.

პროპორ. რასაკვირველია. თქვენ ალბად მაგ კაჰკაჰების იმედი გაქვთ. ეგენი იმიტომ ჰკიჰკინებენ თქვენს სასარგებლოდ აგრე თავ-გამოდებით, რომ ისევ ძლიერი და უწინდელებრ ყოვლად შემძლე ჰკონიხართ პეტერბურგში. საკმარისია შეიტყონ იმ უბედურების ამბავი, რომელმაც ფეხი ამოგვიკვეთა იქ, და მაშინვე მოჰყვებიან ლაღადს, რომ ჩვენი საკადრისი დედაკაცი არ არის და ჩვენს ღირსებას ამცირებს ჩვენთან ყოფნითაო.

ნინო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ თქვენვე შეატყობინებთ მაგ ამბავს.

პროპორ. ჩემო კარგო, კარგად მიცნობთ, მე წესად არა მაქვს ჩემის მტრების შეცოდება და შებრალება, და არც ვიცი, რომ მინდოდეს კიდეც. ზოგიერთი კაცია, რომ ხელი აქვს შემხმარი, ან ფეხი. მეც იმათებურად სიბრალულის გრძნობა მაქვს შემხმარი და გაქვავებული. გარკვევით გეტყვით, ჩვენს განცალკევებას ის მოჰყვება, რომ არავის მოგაკარებთ ახლოს და ყველას შემოგიფრთხობთ. თქვენს მრავალს მეგობარში გვერდთ გეყოლებათ მხოლოდ აი ეს პატივსაცემი ბებერი, რომელსაც ველარას გამოსტყუებს ადამიანი, ძალიანაც რომ უნდოდეს გულით.

არინა. წასვლა სჯობია, თქვენის უკადრისის ლაპარაკის მოსმენას.

პროპორ. დიალ, სჯობია და სწორედ ეგ უნდა მეთხოვნა კიდეც. (კარებს უჩვენებს)

ნინო. (შეაჩენებს დედას) ანიკო მგავს რითიმე?

არინა. არა, უფრო ჩემი მსგავსება აქვს. სწორედ ზედ ჩამოსხმული ის არის, რაც მე ვიყავ ახალგაზრდობისას.

ნინო. ისა, მეორე... რა ჰქვიან? ოლგა... ლამაზია.

არინა. რა გითხრა. თვალები და თმები ისეთი აქვს... სიმაღლითაც არა უჭირს-რა... ყველაფერი თავისს ალაგასა აქვს რაღა.

პროპორ. (ნინოს) გაათავეთ გამოკითხვა?

ნინო. გამაგებინეთ ერთი, რა გნებავთ ჩემგან?

პროპორ. აი რა. ეს ერთი. (ხელს დაუშვერს არინას, გაიყვანს და კარებს დაუკეტავს) მეორე ისა (გვერდით მოუჯდება), რომ ერთს სამს წუთს ყურადღებით მომისმინეთ. გაისარჯეთ და ამიხსენით, რას უპირობთ თქვენს ქმარს?

ნინო. ეგ თქვენი საქმე არ არის:

პროპორ. (ჩაიცინებს) დამშვიდდით, ჩემო კარგო, მე ხომ არ ვიჭვიანობ. მე მხოლოდ ის მინდა შევიტყო, რამდენს აეკრეჟავთ მაგ თქვენს წმინდა და რბილ-მატყლოსან ცხვარს? აქამდე რომ თავისუფლებას არ ვაძლევდით, ძალიან მშვენიერად მოვიქეცით და კაი ანგარიშიცა გვქონდა. მაშინ გაჭირება ჯერ არ მოგვდგომოდა კარებზედ და ამიტომ სხვა დროისთვის უნდა შეგვენახა სადარიგოდ, ვიდრე მატყლი ამოუვიდოდა. ეხლა-კი, როგორც მესმის, ოქროს-მატყლოსანი შექმნილა და, ჩემის აზრით, დროა სულ ერთიან გაიკრიჭოს.

ნინო. ეგ არის თქვენი გეგმა?

პროპორ. არა, ეს ბოლოა გეგმისა. თვით გეგმა თქვენ გეკუთვნით და, მართალი უნდა სთქვას კაცმა, კარგადაც მოგისაზრებიათ. რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ მეც დამეკითხებოდით, მაგრამ არა ვჯავრობ. არა ვჯავრობ აგრეთვე იმისთვისაც, გზაზედ რომ გაპარვა გინდოდათ. არა, ძალიან მოხერხებულადაც მოიქეცით-და: რკინის გზის სადგურზედ მიმეჩქმალეთ სადღაც, ორს მატარებელს ასცდით, შემდეგ უკან გაბრუნდით და, აღმოსავლეთის მაგიერ, დასავლეთს ამოჰყავით თავი. დიალ, კარგი იყო, მაგრამ მე როდი უნდა მომექეცით აგრე, ჩემს ბრჭყალებს ისე ადვილად ვერ მოიშორებთ. ახლა მაინც ხომ დარწმუნდით: განა დიდხანს გალოდინეთ აქ?

ნინო. არა, სწორედ დროზედ მოხვედით, რომ თავი მოგეჭრათ ჩემთვის და შეგერცხვინებინეთ.

პროპორ. საზოგადოების აზრით ერთი ვაჟკაცი თავს ვერ მოსჭრის და ვერ შეარცხვენს დედაკაცს. ყველას ეს ჩვეულებრივ საქმედ მიაჩნია. არც ერთი-კი რომ არა სჩანდეს, ეს სულ სხვა საქმეა და სახიფათოც არის, რადგან მგონიობაზედ მიდგება საქმე და, ერთის მაგიერ, ექვსს წყვილს მოგაკრავენ. რაც შეეხება თქვენს ქმარს... ვერც-კი შემნიშნავს, ჩემს შენიშვნას ვერ გაჰბედავს, და ესეც რომ არ იყოს, ოღონდ ფული-კი მოგვცესდა...

ნინო. მგონი ამაოდ გამომედევნეთ უკან, ჩემო კარგო: ის ჩვენ არაფერს მოგვცემს.

პროპორ. მოგვცემს!

ნინო. არ მოგვცემს, იმიტომ-რომ ფულზედ კრინტსაც არ დავუძრავ.

პროპორ. ეგეც კაი ხერხია, დეე თითონვე ამოსთქვას.

ნინო. მაგისთვის არ მოვედი აქა.

პროპორ. მაშ რისთვის მობრძანდით?

ნინო. თქვენთვის საჭირო არ არის ამის შეტყობა.

პროპორ. პეტერბურგში ხეტიალს შემდეგ ოჯახის ბედნიერების გამოცდის იმედმა ხომ არ მოგიტყუათ.

ნინო. ვინ იცის, იქნება ეგეც იყოს!

პროპორ. ეს არის თქვენი ფარუ-

*) იხ. „ივერია“ №№ 175, 176, 181, 184 და 187.

ერთის სიტყვით, ამ ათის წლის განმავლობაში ქართულის თეატრის მოღვაწეთ ყოველი ღონისძიება იხმარეს ქართულის სცენის დასამკვიდრებლად, და ესოდენმა ცდამ თავისი ნაყოფიც მოიტანა. ამიტომ სრული იმედი და საბუთი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება სიხარულითა და თანაგრძნობით მიეგებება ათის წლის იუბილეის ქართულის თეატრისას და უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩვენის თეატრის მოღვაწეთა მხნეობასა და თავ-განწირულებას.

ა. ს---ი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ქართულს სამუდამო სცენას ამ ხუთს სექტემბერს ათი წელიწადი უსრულდება არსებობისა და ქართულის დრამატიულის დასის არტისტებს განზრახვა აქვთ ეს დღე შესაფერად იდღესასწაულონ და წარმოდგენა გამართონო. ეს წარმოდგენა სექტემბრის ათს, ან თხუთმეტს იქნება, ხუთს ვერ მოხერხდა, რადგან თეატრს ეხლა ღუმელებს უკეთებენ. ამ სადღესასწაულო დღისათვის უნდა წარმოადგინონ: თითო მოქმედება თ. გ. ერისთავის „გაყრი“-სა, ზ. ანტონოვის «მზის დაბნელებისა», ავქ. ცაგარლის „ხანუმასი“ და გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. ამ დღეს თეატრის დარბაზი დაფნის გვირგვინებითა და ძველის აფიშებით იქნება მორთული. სცენაზედ დასდგამენ სურათებს ქართველ დრამატიულ მწერლებისას, ირგვლივ არტისტები და არტისტი-ქალები იდგებიან და დადაფნავენ მწერლების სურათებს. სხვათა შორის წაკითხული იქნება ანგარიში თეატრის ათის წლის მოღვაწეობისა. ამავ დღეს დილით ქართველ არტისტებს განზრახვა აქვს პანაშვიდი გადიხადონ გარდაცვალებულთ თავ. გ. ერისთავისა, ზ. ანტონოვისა, დიმიტრი ყიფიანისა, როგორც დრამატიულ საზოგადოების დამაარსებლისა, და ნ. შიშნიაშვილისა.

*** იმავ თეატრის ათის წლის თავის დღესასწაულისათვის ბ-ნს ვალერიან გუნიას დაუმზადებია წიგნი, სახელწოდებით «ქართული თეატრი» (1879—1889), რომელიც სხვათა შორის შემდეგს შინაარსს შეიცავს: ქართულის თეატრის დასაწყისი და მისი თავ-გადასავალი, ქართული სამუდამო სცენა, რა ეჭირვება ქართულს თეატრს, ქართველი დრამატურგები, ქართველი არტისტები, დრამატიული ხელოვნება, სასცენო ხელოვნება და თეატრის მნიშვნელობა. ეს წიგნი ეხლა უკვე იბეჭდება და იმ დღისთვის გამოვა, რა დღისათვისაც წარმოდგენაა დანიშნული.

*** კუკიელების გასახარებლად უნდა ვსთქვათ, რომ ყორღანოვს თავის მიერ განზრახულ ცხენის რკინის გზის გამართვისათვის უკვე ხელი მიუყვია. ეს ახალი შტო ცხენის რკინის გზისა, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურიდგან უნდა დაიწყოს, მალაკნების მეორე ქუჩაზედ გამოიაროს, ჩამოივლის მთელს ავჭალის ქუჩაზედ და მიხეილის ხიდის ყურამდე მოაწიოს. კუკიელებისათვის ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს და მოუთმენლადაც ელოდნენ იმის გაყვანას. გზის კეთებისათვის ეხლა უკვე ხელი მიუყვიათ და გზას ასუფთავებენ რელსების დასაწყობად. გზის გასუფთავება ჯერ-ჯერობით რკინის გზის სადგურიდგან დაიწყეს, მალაკნების ქუჩას გამოუდნენ და ავჭალის ქუჩას დაადგნენ კიდეც.

*** დღეს მოგვივიდა რუსულად გამოცემა „კავკასიის საბებიო ინსტიტუტის ექიმთა სამეცნიერო ბაასი“-სა. ეს წიგნი ლაზათიანად არის გამოცემული და 200 ფურცლამდე შეიცავს in octavo-სას. წიგნში დაბეჭდილია საბებიო ინსტიტუტის მოკლე ანგარიში 1888 წლის განმავლობაში და აგრეთვე სამკურნალო განყოფილებათა ანგარიში 1887 წლისა. წიგნის ბოლოში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო წერილი ექიმის ქალის ისაკოვისა იმის შესახებ, თუ ახლად დაბადებულს ბავშვებს როგორ უვლიან კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ერნი. მოყვანილი აქვს, სხვათა შორის, სხვა-და-სხვა ჩვეულება ქართველებისა, რუსებისა, სომხებისა, თათრებისა და სხვათა ახლად დაბადებულ ყმაწვილის მოვლის შესახებ. ამ წერილს ბოლოზედ დატანებული აქვს სურათები ექვს ნაირის სხვა-და-სხვა აკვანისა და ორ გვარის შიბაქისა.

*** 1-ს ამ თთვისას ექიმის ბ-ნ გოლბეკის მეცადინეობითა და მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალადის კურთხევით გაიმართა სამრევლო სასწავლებელი მიხეილის საავადმყოფოში მოსამსახურეთა შვილთათვის. ამ სკოლაში ამ ჟამად შვიდი ვაჟია და სამი ქალი.

*** მიხეილის საავადმყოფოს მღვდელმა მამა ვ. კარბელაშვილმა გაჰმართა ავადმყოფთათვის ბიბლიოთეკა. ამ ჟამად ამ ბიბლიოთეკაში ასამდე წიგნი არის, სხვათა შორის წიგნები შეუწირავთ ანფია ლოსოვიცისას—30 წიგნი, N-ს 32 წიგნი და მრავალი წიგნაკი, ბ-ნს X-ს ჟურნალი „Русская Мысль“ 1888 წლისა, ბ-ნ დ. ფურცელაძეს—7 და ბ-ნ გრ. ჩარკვიანს—9. ამ ბიბლიოთეკის გამგე მ. კარბელაშვილი მადლობას უძღვნის ბ-ნთ შემომწირველთ და იმედი აქვს, რომ სხვებიც არ დასტოვებენ უყურადღებოდ.

*** მიხეილის ქუჩაზე, გერმანელების ეკკლესიის (კირკა) ეზოში, დიდი ხანია, რაც ტფილისის გერმანელთა დაუარსებიათ ოთხ-კლასიანი სკოლა. სამზრუნველო სკოლისა, რომლის თავმჯდომარედ ითვლება ბ-ნი სტრუვე, არაფერს ჰზოგავს ამ სკოლის კეთილდღეობისა და წარმატებისათვის. სკოლაში მშვენიერად ასწავლიან როგორც გერმანულს, ისე რუსულს. სწავლის ფასი წელიწადში სულ 24 მანეთია. სკოლაში იღებენ ბავშვებს ტომისა, წოდებისა და სქესის განურჩევლად. რადგან ამ სკოლაში, სხვათა შორის, მშვენიერად ასწავლიან გერმანულს ენას, ამიტომ სკოლაში შესვლის მსურველთა რაოდენობა თუ მატულობს, თორემ კლებით-კი არა კლებულობს. ურიგო არ იქნება, ჩვენმა საზოგადოებამაც ათხოვოს ყურადღება ამ ფრიად სასარგებლო და მშვენიერად მოწყობილ სკოლას, რომელიც მართლა რომ სამაგალითო სკოლაა. წელს ამ სკოლის სამზრუნველომ და მთლად ტფილისის გერმანელმა საზოგადოებამ განიზრახა ღირსეულად დაესაჩუქრებინა ერთი ამ სკოლის მასწავლებელი, სახელდობრ ბ-ნი შულცი, 25-ს წლის თავ-განწირულ შრომისათვის, იუბილეის დღეს დიდის ამბით მიულოცა თითქმის მთელმა ტფილისში მყოფმა გერმანელობამ, უძღვნეს მეიუბილეეს 1,000 მანეთი ფული, ოქროს საათი, და მოუმატეს ჯამაგირი თთვეში 30 მან. საზოგადოებამ გაუმართა მეიუბილეეს სადილი ვეტცელის ბაღში. გზა ეკლესიიდგან დაწყებული ბაღამდე სულ ყვავილებით იყო მოფენილი. ასე და ამ გვარად დააფასეს ტფილისის გერმანელებმა ბ-ნის შულცის პატიოსანი და თავ-განწირული შრომა.

*** წყლის მილისაგან ქალაქს იანვრიდგან ამ სექტემბრის პირველამდე შემოსვლია 55,000 მანეთი. თუ წლის დამლევამდე ასე იარა საქმემ, ქალაქს წრეულს მხოლოდ 10,000 მანეთი ექნება ზარალი, თითქმის ერთი ოთხად ნაკლები შარშანდელზედ. თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ სახლებში წყლის გაყვანის მსურველნი თანდათან მატულობენ, მაშინ სრული იმედი შეგვიძლიან ვიქონიოთ, რომ მერმისიდგან, არა თუ ზარალი, შეიძლება მოგებაც დარჩეს, და შემდეგ ხომ ამ წყლის მილს დიდი შემოსავალი ექნება. წყლის მილზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ წყალს ჩვენი ქალაქელები ისე რიგად ჯერ კიდევ ვერ მისჩვევიან და ძველს რჯულს ადვილად ში

---

ლი ოცნება, ამ თორმეტის წლის განმავლობაში გამოლოლიავებული? მშვენიერი ამბავია, ადამიანს გულს მოულბობს და მოულხობს თქვენი სურვილი! დედაკაცები მაინც სულ ერთს რიკრიკაზედ არიან გამოჭრილნი: ოჯახს თავს ანებებენ, რომ განთავისუფლდნენ, და თავისუფლებას, რომ ოჯახს დაუბრუნდნენ. როცა ჩემს უძვირფასესს მეგობარს თავი დაანებეთ და გამომყევით, ასე მეგონა, რომ თქვენც იმ ცოდნისაგან არ იყავით გამოზრდილი, რომლითაც სათნოებით სავსე მეუღლენი არიან გამომცხვარნი.

ნინო. (ტანჯულის ხმით) კმარა, კმარა, თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ და თქვენს დასიცილს მომარჩინეთ. მეც ხომ ადამიანი ვარ, სულდგმული, ეხლა მაინც მომასვენეთ, ეხლა, როცა ჩემი ცხოვრება თითქმის მილეულია. დამეთხოვეთ, რომ წარსული დავივიწყო და მოვრჩე იმ აურზაურს, ღრიანცელსა და ხეთქებას, რომელიც თქვენის წყალობით გამოვიარე. (ღრმა მწუხარებით) მომასვენეთ, რომ ან ოჯახს შევაფარო თავი და ან სამარეს.

პროპორ. ეგ ორივე ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდება.

ნინო. (თითქო თავის თავად ამბობს, იმას ყურადღებას არ აქცევს) დრო, დრო, მოვრჩე და მოვისვენო როგორმე, უკანასკნელი ძალა და ღონე უნდა მოვიკრიბო... სინიდისს ხმა გავაკმენდინო... ვიცხოვრო, ვითვალთმაქცო, არაფერი დავზოგო... ოღონდ-კი ჩემი შევისრულო, ოღონდ-კი თავი შევაფარო სადმე და მოვისვენო სული მოვითქვა.

პროპორ. თავი მომაბეზრა მაგ თქვენმა ფილოსოფოსობამ, სასოწარკვეთილებით თვალების ბრიალმა და აღშფოთებულმა კილომ ხმისამ. გარკვევით და ნათლად ილაპარაკეთ, რომ გაიგოს რამე თქვენი ადამიანმა.

ნინო. კმარა! თქვენი უსირცხვილობა კარგად ვიცი. დამანებეთ თავი, მომშორდით.

პროპორ. (ფეხს დააბაკუნებს) სიტყვის ბანზედ აგდებას დაეთხოვე. ეგ სიტყვები ჩემზედ ვერ გასჭრის და ვერ იმოქმედებს. მიპასუხე ეხლავე, რას აპირობ? თუ იმასა ხარ მოწადინებული, რომ მარტომ ჩაჯიბო შენის ქმრის ტყავი, შემცდარი ხარ, ამისთანა საქმეში დავბერდი და თავს ვერ დამაღწევ.

ნინო. კმარა, სამუდამოდ მოვრჩეთ და გავათაოთ, ჩვენ ერთმანეთი გვძულს და გვეზიზღება. ჩვენ შორის ყოველსავე ბოლო მოღებული აქვს. ამ თორმეტის წლის განმავლობაში ყველა გამოვიარე, ყველა, რის გამოვლისათვისაც-კი დედაკაცს ძალა და ღონე შესწევს. გაგიჟებით მიყვარდი. შენს ნებაზედ ვცხოვრობდი და თვალებში შემოგცქეროდი, რომ შენს სიამოვნებაში ვყოფილიყავ. გოშიად გაგიხადე თავი, წუკიად. შენთან ერთის წუთის ბედნიერებისათვის სირცხვილსა და სიკვდილს არ ვერიდებოდი, იმ სირცხვილს, რომლის უპატიოსნესაც შენ ჩამჩიჩინებდი ყურში, რითი გადამიხადე მერე? იმითი, რომ ტალახში ამომსვარე, მამცირებდი, მაყვედრიდი, მყიდდი. დიდი ხანია ამ შენმა უსინიდისობამ გულში სიყვარული გამიქრო და მომიკლა, მაგრამ წყეული ჩვეულება მაინც იდევ ფეხებს მიკრავდა და ღონე არა მქონდა, რომ გავშორებოდი იმ სამარეს, სადაც ყველაფერი დავმარხე: პატიოსნება, სირცხვილი, სიყვარული... ყველა... მთელი სიცოცხლე... რაღას გამოელი ჩემგან, რა გინდა?

პროპორ. სამასი ათასი.

ნინო. (დონეს მოიკრებს) არავითარი უფლება არა გაქვთ, რომ მაგოდენა სასყიდელი მომთხოვოთ.

პროპორ. უფლებით მე არავისთვის არა გამომირთმევია-რა... აბა, მე წასასვლელი ვარ, გაისარჯეთ და გულ-დადებით მომისმინეთ: თქვენც მოგეხსენებათ, ჩვეული ვარ კარგს ცხოვრებას, და შეძლება-კი არა მაქვს. თქვენის სისულელისა და პეტერბურგში მომხდარ ამბის წყალობით ჩემი ერთად-ერთი იმედი თქვენი ოქრომატყლოსანი ქმარი-ღაა. მოიქეცით ისე, როგორც ჭკუამ და გონებამ გაგიჭრათ, მაგრამ იცოდეთ-კი (მკაფიოდ), იცოდეთ, თუ ჩემი წილი არ მერგო, არც ჩემს თავს და, მით უმეტეს, არც თქვენს თავს აღარ დავზოგავ. დაფიქრდით (ხელს დაუჭერს), კარგად ასწონ-დასწონეთ ჩემი სიტყვები. (ერთმანეთს შესცქერიან) ნახვამდის, ჩემო ანგელოზო. (ხელის გულზედ ჰკოცნის და შუა კარიდგან გადის)

ნინო. გული მიჩქროლავს... რას მითქვამს ნეტა?.. საოცარია... არა.. უკანასკნელი ღონე უნდა შევალიო ამ საქმეს, ოღონდ-კი მაგას მოვრჩე, მოვისვენო, დავდინჯდე... (მარჯვნივ მიდის, მარცხნა კარებიდგან მოსამსახურე შემოდის)

მოსამსახურე. ბატონი ვოლინცევი გახლავთ.

ნინო. სთხოვეთ მობრძანდეს. (მოსამსახურე გადის. ნინო ჯერ გონებას მოიკრებს და მერე უწინდელებრ დამშვიდებული კარებისკენ მიდის, რომ ქმარს მიეგებოს).

IX

ვოლინცევი და ნინო

ვოლინც. (შემოვა და თავს დაუკრავს) რადა გნებავდათ ჩემი ნახვა?

ნინო. (ხელს გაუწოდებს და ვოლინცევი არ ართმევს) არა საჩხუბრად. გამარჯობათ, დაბრძანდით. (ხელს ჩამოართმევს და ოდნავ წაიყვანს სავარძლისკენ) დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, სწორედ იმდენი ხანი, რომ წარსულს აღარ შეეშალა ხელი და ისე შევხვედროდით ურთიერთს, როგორც კაი მეგობრები. ასეა, თუ არა?

ვოლინც. (გაოცებულია ნინოს ტკბილის საუბრით) ნება მომეცით, პასუხი შემდეგ მოგახსენოთ. თუ მეგობრებად გავხდის რამე, ყოველ შემთხვევაში ის-კი არა, რაც აქამდე იყო.

ნინო. (სწრაფად) მართალია, მართალი იმის ატანა, რაც აქამდე იყო, შეუძლებელია... ეხლა სულ სხვა მინდა, ახალი, იმიტომ-რომ მეც გადავახალისდი, გამოვიცვალე, სულ სხვა ვარ.

ვოლინც. (უნდობლად შესცქერის) არ ვიცი.

ნინო. თქვენა, თქვენ უწინდელებრ გულ-ცივი ხართ, უწინდელებრ შეურაცხმყოფელი... ცოტაც არის რომ შემიბრალებდეთ .. კარგი, არ მინდა, აღარასა გთხოვთ. ანიკო კარგად არის?

ვოლინც. (შეკრთება) ვინა?

ნინო. ჩემი ქალი.

ვოლინც. კარგად არის.

ნინო. შეიძლება ვნახო?

ვოლინც. არა. (სიჩუმე. ერთმანეთს კარგა ხანს ხმა ამოუღებლივ შესცქერიან)

ნინო. სასტიკად მექცევით. გამაგებინეთ ერთი, თუ დედაკაცი შეუნდობს ხოლმე კაცს ღალატს, იმ ღალატს, რომელიც ვნების ქარიშხალსა და გატაცებას, თავ-დავიწყებას არ გამოუწვევია, კაცმა რატომ არ უნდა შეუნდოს.

ვოლინც. მე საზოგადო საკითხთა გამომცნობელი არა ვარ.

ნინო. ჩემის საქციელისთვის მეტად, მეტად სასტიკად დამსაჯეთ.

ვოლინც. იმითი თუ, რომ მაშინვე არ მოგკალით, იმავ ადგილას, და თავისუფლება მოგეცით? ძალიან, ძალიან სასტიკად დამი ჯიხართ.

ნინო. რომ მოგეკალით, სიყვარულის ნიშანი იქნებოდა. მაგრამ თქვენ გამაგდეთ, ოჯახსა და შვილს განმაშორეთ, და მაგით აშკარად დამიმტკიცეთ, რომ გძულდით და გეზიზღებოდით. აღარას ვიტყვი თქვენის გულცივობის სხვა საბუთისას. მაშინ ახალგაზდა ვიყავ და მშვიდობიანს სიყვარულს-კი არ ვეძებდი, იმისი არა გამეგებოდა რა, ვნებათა ღელვის მორევში ტრიალს ვიყავ მოწადინებული, სიყვარულის სახმილს, და დავიწვი კიდეც ამ სახმილით. თქვენ-კი ზიზღით მკარით ხელი უფსკრულისკენ, შეუბრალებლად. როგორც ქმარი, მართალი იყავით, უფლება გქონდათ. მაგრამ სიყვარულით გამსჭვალული ადამიანი-კი არ ეგრე მოიქცეოდა.

ვოლინც. მას შემდეგ თორმეტმა წელიწადმა გაიარა. ვინც უნდა იყოს ჩვენში მტყუანი და მართალი, სულ ერთია, ვეიანდაა ეხლა წარსულის მოგონება, გარჩევა და განხილვა.

ნინო. შენდობა გვიან არასოდეს არ არის. შემინდეთ, მაპატიეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა სტოვებენ. მაგალითებრ, ჩულურეთში მუშებს კოკით აზიდვინებენ მდინარე მტკვრის წყალს და იმასა სვამენ წყლის მილის ხმარების მაგიერ, განსაკუთრებით ამ ახალს, ავჭალის წყალს ვერ ეწყობიან მოხუცებულები, რომელნიც ორმოცისა და სამოცის წლის განმავლობაში შესჩვევიან მტკვრის წყალს.

*** **კახეთის გაღმა მხარი:** ღმერთმა ტფილისელებს მშვიდობა, კარგად ყოფნა და ყოველი კეთილი მოგცეთ, ხოლო ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, დიდად მადლობელნი ვიქნებით და გულ-წრფელად მოგახსენებთ, რომ დიდს გაჭირებაში გახლავართ. ამ გაჭირებასაც მოგახსენებთ: ჯერ იყოდა აი, ამ ვენახების გაფუჭებამ მოგვკლა გული. ველოდით, ველოდით, ან ეხლა მოგვხედავს ღმერთი მოწყალე თვალით და ან ეხლაო, ვერა და ვერ იქმნა. ზენამ დაგვივიწყა და ვენახები სულ ერთიანად ხელიდგან გამოგვაცალა იმ ტიალმა ჭირმა. რა ვქნათ! სულ სასოება წარვიკვეთოთ და დავანებოთ თავი ამ ვენახებს, — ესეც ვერ გაგვიბედნია, იქნებაო, ვამბობთ, ჭირმა პირი იბრუნოს და გაგვეცალოსო, და ვართ აი ამ ორის წყალს შუა. ეს კიდევ არაფერი: ვენახებს ჭირი აფუჭებს, ამ სახნავ მიწებს რაღა ემართებათ? ნუ თუ ისინიც ჭირით არიან ავად? ჭირია, თუ სხვა რაიმე მიზეზი, ჩვენ-კი ჩვენი დაგვემართა ამ ტიალმა მოუსავლობამ-და. ვისაც უწინ, ორი-სამის წლის წინად, ორმოცი ურემი ძნა მოსვლია, იმავე ნათესიდგან წელს ნახევარიც არ მოუვიდა. ზოგი ოჯახი სამი-ოთხის დღის ნათესმა სულ ხელ-ცარიელი დასტოვა.

ამ უბედურებას ერთი სხვაც დაერთო კიდევ: საქონლის ჭირი გაჩნდა, ლამის არის სულ ერთიან გასწყვიტოს საქონელი და პირუტყვის ექიმი-კი არსაიდგანა სჩანს. როგორც ხალხი ამბობს, ამ ჟამად ორ ნაირი ჭირი მძვინვარებს პირუტყვისა. კიდევ კარგი, რომ არაფითარი ადამიანის სენი არ გაჩენილა, თორემ თქვენს მტერს, რაც ჩვენ დაგვემართებოდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ქ. ოზურგეთი (გურია). რით არ არის ოზურგეთი ქალაქი? რაში ჩამორჩება სხვა სამაზრო ქალაქებს ჩვენს ქვეყანაში? რით არის იგი სამასხროდ ასაგდები და სახელ-გატეხილი? სახლების რაოდენობა ოზურგეთში არც ისე მცირეა, როგორც გგონიათ, და ზოგი მათგანი, წარმოიდგინეთ, მწკრივადაც-კი დგას. ამასთან აქ ყოველ ნაირი სახლებია, როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი. ერთს კარგს დღეს ოზურგელს გამოუწყვია ქვითკირის შენობა, მერე „საძუე შემოსწყვეტია“, ჯიბე გამოჰფხეკია და დგას თავ-მოშლეპილი ნახევრად აშენებული სახლი ოცი და ორმოცი წელიწადი. აბა მაჩვენეთ თქვენ სხვა ამისთანა ქალაქი, სადაც ასეთი სხვა-და-სხვაობა იყოს, თუ გინდა მარტო შენობებისა. ოზურგეთს-კი აქვს მთელი, ნახევარი და, ასე გასინჯეთ, მეოთხედი სახლიც-კი. თუ სახლები მწკრივად იქნებიან დადგმულნი ქალაქში, იქ უეჭველად ქუჩაც იქნება. დიალ, ოზურგეთშიაც არის ერთი, მაგრამ დიდი და დიდი, ქალაქის თავიდამ ბოლომდე გაჭიმული ქუჩა. ამ დიდს ქუჩას ერთვის მრავალი ვიწრო ქუჩა, მარჯვნივ და მარცხნივ დიდ-ქუჩას ორსავე მხრით არხები მისდევენ და შიგ მოშვებულია ბაზრის წყლიდგან გამოყვანილი რუ, რომელიც ყოველს დუქანსა და მაღაზიას წინ უვლის. ამ არხებში ჰყრის და ახსამს მთელი ოზურგეთი ყოველ გვარ სიბინძურეს: ნაგავს, ნარეცხს, დამპალს ხილეულობას, თაფლის ნეხვს და სხვა მრავალს. ამდენი ტვირთი პატარა რუს ვეღარ უზიდავს, მოზელილა შიგ და ტლაპოდ გადაქცეულა, ამოუვსია ტლაპოს არხი და წყალი ძლივ ძლიობით მიიპარება აზვინულ ნაგავში. ამაზედ ათჯერ მეტი ნეხვი-წუმპე დუქნებს უკან სდგას, სადაც საქონლისა და ფრინველების ბინაა. ქუჩებზედ და ეზოზე წოდებულ „საპარასკეოზედაც“ არა ნაკლებ გახრწნილ ნივთიერების გროვას შეხვდებით. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ოზურგეთი წუმპეშია დადგმული და ჩვენებური ლექსი, მორიელზე ნათქვამი, შესაძლოა ასე გადაკეთდეს ოზურგეთის შესახებ: ნეხვი უგია, ნეხვი ჰხურავს, ნეხვსა სჭამს და ნეხვსა სვამსო. სისუფთავეს მოკლებულია ამ ქალაქში ყველაფერი: სასწავლებლების და საყდრების ეზოებიც, «მოედნებიც», ყაზარმაც, სასეირნო ბაღიც და სხ. წარმოიდგინეთ ოზურგეთის დაცემული და ჭაობი მდებარეობა და თან ასეთი უსუფთაობა, — ისეთი მყრალი სუნი ტრიალებს ამ ქალაქში, რომ, საითაც ფეხს გადასდგამთ, ცხვირი ხელსახოცით აკრული უნდა გქონდესთ მუდამ, რომ გულის რევა და თავის ტკივილი არ აგიტყდეთ. ამას შემდეგ რაღა გაგიკვირდებათ, რომ ოზურგეთლები ფერსაცა და ხორცსაც მოკლებულნი არიან და სამარიდგან ამოღებულებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე ცოცხლებს. თითონ ოზურგეთელნი ისე შესჩვევიან ამ უსუფთაობას, რომ ვერც-კი ჰგრძნობენ და არხეინად ბრძანდებიან დიდი და პატარა, მოხელე და მოვაჭრე. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ წუმპე ოზურგეთში ტყუილ-უბრალოდ არ იკარგება: აქ დიდ-ძალი ღორებია, რომლებიც გაზურგებულის ჯანის გასაგრილებლად მუდამ ტლაპოში ჰგორავენ და მუცლის ამოსავსებლად დინჯით მუშაობენ. მაშ ოზურგეთლებს ტყუილად როდი მოუშენებიათ ნეხვი-ტლაპო-სასუმპოსნო ბაღი: სამეურნეო აზრიც ჰქონიათ სახეში. ყოჩაღ, ყოჩაღ, ოზურგეთელნო, რომ ასეთის მოკლე ხერხით ასე დიდის საქმის გაკეთება მოგიგვარებიათ! ამას წინად „ივერია“ უკიჟინებდა ოზურგეთლებს, რომ საშიშარი მტერი ბაზრის წყალი თავიდამ ვერ აიცილნეს ერთის ქვითკირის კედლის გაკეთებითაო. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ოზურგეთელთ მართლა შეესმინოთ ეს რჩევა და ბაზრის წყლისათვის გზა შეეკრათ! უდარდელ და თავის მოუვლელ ქალაქისათვის ღმერთი ჰზრუნავს და უბძანებია: ვინაიდგან ოზურგეთლები ზანტებად და ზარმაცებად დამისახავს, სამაგიეროდ ბაზრის წყალი მიმიჩენია მათთვის, რომ ყოველ წლობით თითოჯერ მაინც დაჰგავოს და გარეცხოს ეს მოძულებული ქალაქი და ჩემ მიერ გაჩენილი ხალხი დაიხსნას უცნაურის ჭირისა და სენისაგანაო. მართალიდაც, ბაზრის წყალი რომ არ იფარავდეს ოზურგეთს, აქამდე ხოლერა ამოსწყვეტდა ერთიან მთელს ქალაქს.

ჩვენის ქვეყნის ყველა სხვა სამაზრო ქალაქისა მეტი იცის მკითხველმა, ვიდრე ოზურგეთისა. ყველანი შეძლებისა დაგვარად ერევიან საზოგადო საქმეებში, ჰმართავენ თავიანთ ხარჯით კერძო სკოლებს სავაჟოს, თუ საქალოს და, რაც თითონ არ შეუძლიათ, მთავრობას აწუხებენ თხოვნით და ამართვინებენ სასწავლებლებს. ჰმართვენ წარმოდგენებს და ხელის მოწერას სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებათა დასახმარებლად და, ასე თუ ისე, იჩენენ სიცოცხლის ძალასა და მოძრაობას. მარტო ღ. ხონი ვახსენოთ, თუ გნებავთ, მაგალითად: იგდეს ხელთ საოსტატო სემინარია, გამართეს საქალებო სასწავლებელი და სავაჟო ორ-კლასიანი. ზოგი ჩვენი ქალაქი ზრუნავს დეპოებისა და ბანკების დამართვისათვის; ზოგს ოთხ-ოთხ კლასიანი დედათა სასწავლებელი გაუმართავს და სხვა-და-სხვა. ოზურგეთში? ჩამი-ჩუმიც არ ისმის, ჩაკირულა და ჩაქვავებულა აქ სიცოცხლეცა და მოძრაობაც. ყოველ ნაირ აღმაფრენას მოკლებული ოზურგეთი არაფითარს საზოგადო და საკეთილო საქმეს ხელს არა ჰკიდებს. მოსპობია ხალისი, რომ სწავლა-განათლებით გაღონიერდეს და გაკეთილშობილდეს. მთავრობას რომ ოზურგეთში სამოქალაქო სამ-კლასიანი და სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი არ გაემართა, თითონ ოზურგეთი თავის ჭკუითა და ხარჯით უბრალო საანბანო სკოლის გამართვასაც ვერ მოახერხებდა. ამას საქმე გვიმტკიცებს. დედათა სასწავლებელი არ გაუმართეს სხვებმა ოზურგეთს და სწორედ ეს სასწავლებელი დღესაც არა აქვს, თუმცა საჭიროება და აუ-

---

ვოლინც. ბატონო ჩემო, გავათაოთ, კმარა, გულ-წრფელად მითხარით-რა გნებავთ?

ნინო. თქვენთანვე მაცხოვრეთ ისევ. (ვოლინცევი წამოდგება) მოითმინეთ, კარგად ვიცი, რომ სხვა გიყვართ. მე ქმრობას აღარა გთხოვთ, მთელს ჩემს სიცოცხლეს მეც გიმსხვერპლებთ, მონაზონი გავხდები, დავეყუდები თქვენს სახლში და არავის დავენახვები, არც-კი შეგამჩნევინებთ თავს. ოღონდ-კი ნება მომეცით თქვენს გვერდით ვიყო, გემსახუროთ, თვალებში გიყუროთ, დობა გაგიწიოთ. წამოვალ იმ დედაკაცთან, რომელიც გიყვართ, და ისე მოვექცევი, როგორც ჩემზედ უკეთესსა და უპირატესს. გეფიცებით, რომ ვეცდები ყველა ჩემსავით პატივისცემით ექცეოდეს. დავიღალე, ბატონო სერგეი, მოვიქანცე... მარტო ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე, სიკვდილამდე, არავინა მყავს... შემიბრალეთ.

ვოლინც. მებრალებით...

ნინო. გეფიცებით, რომ პაწია უფლებაცა მაქვს სიბრალულისა. მთელი ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ერთმა ქარიშხალმა შეარყია, გამიტაცა, თავს ბრუ დამახვია და დამამონა იმ კაცს, რომელმაც ერთი-ორად მომაგო, ჯოჯოხეთად მიქცია თქვენი ტანჯვა, ჩემი დანაშაული... მეგონა, რომ გული დამიმშვიდდება-მეთქი ბრწყინვალე ცხოვრების ღრიანცელში ეხლა-კი არა, დიდი ხანია, კარგა ხანი, რაც მინდოდა მუხლ-მოყრილი შეგვედრებოდით და შენდობა გამომეთხოვნა, მაგრამ ძალა არ შემწევდა თავი დამეღწია... არასოდეს და არავისთვის არა მითხოვნია-რა... ეხლა კი მზად ვარ მუხლებში ჩაგივარდეთ და გეხვეწოთ, გემუდაროთ. (საჩქაროდ დაუჩოქებს და ხელზედა ჰკოცნის)

ვოლინც. ადექით, თავს ნუ იმცირებთ... ეგ არას გიშველით-რა. ჩვენ დიდი ხანია უცხონი ვართ ერთმანეთისათვის, უცხონი ვართ არა იმიტომ, რომ მე მყვარებოდეს სხვა, არამედ იმიტომ-რომ თქვენ არ შეგეძლოთ და არ შეგიძლიანთ შეიყვაროთ ვინმე.

ნინო. ტყუილია.

ვოლინც. (თითქმის დაიღრიალებს) ტყუილი-კი არა, მართალია, მართალი... შეიძლება ადამიანმა სხვა შეიყვაროს, სხვას გაჰყვეს, მაგრამ ქმრის შერცხვენა იმის საკუთარს სახლში, თავის ქალის აკვანთან, შერცხვენა იმ კაცის წინაშე, რომელიც იმის მეგობრობას იჩემებდა, სასაცილოდ აგდება იმის სიყვარულისა, იმის პატიოსნებისა, მხურვალე გულისა, ეს კი უსინდისობაა... თქვენ თქვენს თავს არა ჰღალატობთ. კარგად მახსოვს ეგ გველებრივი ალერსი, ეგ ლამაზი თვალები, რომელიც მაშინაც ისე კარგად სტყუოდა, როგორც ეხლა სტყუის. კარგად გიცნობთ და მჯერა კიდეც, რომ ეხლა გულ-წრფელად ამბობთ ყოველსავე: ცხოვრებამ მოგქანცათ, თრევამ თავი მოგაბეზრათ და გინდათ დაისვენოთ, მორჩეთ ხეტიალს, გული დაიმშვიდოთ. დაისვენეთ, სადაც გნებავდეთ, მაგრამ იქ-კი ვერ დაგასვენებთ, სადაც ჩემი ქალი სცხოვრობს და სადაც არა დაიშურეთ-რა, რომ იმის მამისთვის ნამუსის ქუდი მოგეხადნათ და შეგერცხვინათ.

ნინო. იმანაც იცის ეგ ამბავი?! არა, არა მჯერა, მაგის თქმას ვერ გაუბედავდით.

ვოლინც. არ მოვისურვე თქმა, თუმცა უფლება-კი მქონდა. დააფასეთ ეს სიკეთე და ამ ბედნიერებას ნუ ისპობთ.

ნინო. მე მინდა ჩემი ქალი ვნახო.

ვოლინც. (სმა-ამოუღებლად შესცქერის) რად გინდათ?

ნინო (ფერ-მიმკრთალი წელში ამართებს) იმიტომ-რომ დედა ვარ იმისი, იმიტომ-რომ მარტო ის შემიბრალებს, მარტო ის მაპატიებს და შემინდობს.

ვოლინც. რაო, თქვენს ქალსაც გინდათ გაუზიაროთ თქვენი ჭუჭყით სავსე წარსული? თქვენ რომ ის მართლა გიყვარდეთ, ფიქრადაც არ მოგივიდოდათ მაგისთანა სურვილი.

ნინო. მაგ შეურაცხების მიყენების უფლება მაშინ გექნებოდათ, თქვენ თითონ რომ წმინდად შეგენახათ თავი და ყმაწვილობიდგანვე საყვარლის ხელში არ ჩაგეგდოთ თქვენი ქალი.

ვოლინც. ხმა ჩაიწყვიტე თორემ... (თავს შეიკავებს და სასუზედ ხელებს მოიფარებს) მაგრამ თქვენთვის რა, თქვენ არც გული გქონიათ როდისმე და არც სამართლიანობა გცოდნიათ. თქვენვე მითხარით უარი, არ განმექორწინეთ და ეხლა ჰბედავთ და შეურაცხჰყოფთ იმ ყმაწვილს ქალს, რომელმაც თავისი პატიოსნება მე მიმსხვერპლა. შვილი კატის კნუტივით მიატოვეთ და ეხლა უკადრისადაც იხსენიებთ კიდეც იმას, ვინც იმის ობლობას დედობა გაუწია. თქვენის წასვლის შემდეგ მე რომ ავადმყოფი ვიწექი და ლამის ჭკუიდგან ვიშლებოდი, ერთხელ ჩემი ქალი მოვიდა და მითხრა, რომ აი, ამა-და-ამ ოჯახში შემივრდომეს და ძალიან ალერსიანადაც მექცევიანო. მე არ მიცნობდა და იმ ყმაწვილს ქალს-კი ჩემის შვილისთვის კითხვა ესწავლებინა, ლოცვა, ყველა ის, რის სწავლებაც თქვენ ვერ შეიძელით: თავისის მოვალეობის რიგიანად აღსრულება. და მეც შემიყვარდა იგი, შემიყვარდა იმიტომ, რომ იმას ჩემი ქალი უყვარდა და ჰპატრონობდა.

ნინო. უფლება არა ჰქონდა ეპატრონებინა და არც თქვენ უნდა მიგეცათ ნება. მე კვლავ დავიბრუნებ ჩემის ქალის სიყვარულს, ანნა დაივიწყებს იმ შფოთისა და უსიამოვნების ჩამომგდებს... დღესვე მომიყვანეთ ქალი, თორემ მე თითონ მოვალ... არაფერს დავერიდები... მთელს ქალაქს თავზე დაგახვევთ, თუ გაჰბედავთ და არ მიმიშვებთ ჩემს შვილთან.

ვოლინც. მაშ აგრეა?!

ნინო. ასეა! ფეხთ ქვეშ ჩაგივარდით, გთხოვეთ, გეხვეწეთ: მაპატიეთ, შემინდეთ-მეთქი... თქვენ ზურგი შემომაქციეთ... დაგავიწყდათ, რომ რაც უნდა ბრალი მომიძღოდეს თქვენთან, შვილის წართმევის უფლება მაინც არავისა აქვს მთელის ქვეყნის ძირზედ: ის არის ჩემი მერმისი, მომავლის იმედი, და იგივე ჩამომრეცხავს წარსულის სირცხვილს.

ვოლინც. (მკაცრად და გაანჩხლებით) გიმეორებთ, ჩემს ქალს არაფითარი დავა არა აქვს თქვენს წარსულთან, არაფითარი. არ მინდა, რომ თქვენი წარსული იმას ოდნავაც არის შეეხოს, და არც შეეხება. (კარებისკენ მიდის)

ნინო. (ხელში სწვდება) შესდექით... უკანასკნელად გთხოვთ: შემიბრალეთ, გაიგეთ და შეიტყეთ, რომ მერმისში აღარას მოველი, ყველაფრის იმედი გამიქრა... სიკვდილი მიდგას თვალ წინ... ნუ თუ ეხლაცა გეტყუი... ნება მომეცით ერთხელ მაინც ვნახო... ამის უფლებას ხომ ვიღარავინ წამართმევს... ნუ დამიხშობთ ამ ერთად-ერთს სიხარულსა და სიამოვნებას, ამ ერთად-ერთს იმედს... (ქვითინებს)

ვოლინც. (შესცქერის) მაშ კარგი, ნებას მოგცემთ ჰნახოთ.

ნინო. (საშინლად შეჰყვირებს გახარებული და მივარდება ქმარს, ვოლინცევი შეაყენებს).

ვოლინც. მოითმინეთ... ჰნახეთ, მაგრამ თუ თქვენდა სასარგებლოდ მოიხმარებთ ამ შემთხვევას და სულის სიმშვიდეს დაურღვევთ, იცოდეთ, რომ იმის ბედნიერების დარღვევისათვის უფრო რიგიანად და საკადრისად ამოვიყრი ჯავრს, ვიდრე ჩემის ბედნიერებისათვის ამოვიყარე.

ნინო. დღესა ვნახავ? აქ მოიყვანთ?

ვოლინც. არა. ჩემსას შეგიძლიანთ ჰნახოთ. ერთის სიტყვითაც არ უნდა განაცხადოთ ჩემთან ცხოვრებისა და ანიკოს თან წაყვანის სურვილი, ერთის კრინტითაც-კი არ უნდა შეურაცხჰყოთ ის დედაკაცი, რომელმაც ქალი გამოგიზარდათ. აღარა გთხოვთ განქორწინებას, რადგან საჭიროც აღარ იქნება მას უკან, რაც-კი ანიკოსა ჰნახავთ. ნახვის შემდეგ უნდა წავიდეთ, გაეცალოთ აქაურობას; ანდახან გაჩვენებთ ხოლმე შვილს. ეს არის, აი ამ პირობით შეგიძლიანთ ჰნახოთ თქვენი ქალი დღეს მუადღის ოთხს საათზედ, ჩემსას. თანახმა ხართ?

ნინო. (თავს აიწევს მაღლა და შეურაცხყოფილის ხმით) თანახმა ვარ. (ვოლინცევი თავს უკრავს და მიდის, ნინო დანაღვლიანებული და ჩაფიქრებული ჩაიკეცება სავარძელში)

[illegible]

(დასასრული მეორე მოქმედებისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილებლობა ასეთის სასწავლებლისა ყველასათვის ცხადია. მართალია, ერთხელ შეიფხანეს თავი ოზურგეთლებმა და გამართეს ორ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, მაგრამ მერე ერთკლასიანად გადააკეთეს და დღეს არავინ იცის, არსებობს ეს სკოლა, თუ არა. რომ იყოს და ხეირიანიც იყოს, მაშინ საძებნელიც არ იქნება—საქმითა და ნაყოფით დაუმტკიცებდა ქვეყანას თავის არსებობას. ეს-კია, რომ ოზურგეთის სასეირნო ბაღში მიგითითებენ ერთს საწყალს შენობაზედ და გეტყვიან: „ეს ქალების სასწავლებელიაო“. ინტელიგენცია, ნასწავლის ახალგაზრდობის რაიმე წრე და კავშირი, ბიბლიოთეკა და სხვა ამისთანა რამე, რაც საზოგადოებას გონებითა და ზნეობით ზრდის, ამაღლებს და წინ სწევს, ოზურგეთში სახსენებლადაც ამოწყვეტილია. სოფლის საზოგადოებასა და ცხოვრებაზედ ასეთს ქალაქს ხომ არავითარი ხეირიანი ზედ-გავლენა არა აქვს და არა. რაც უნდა იყოს, ოზურგეთი მთელის გურიის სამაზრო ქალაქია. მაგრამ თავის მოუვლელმა სხვას როგორ უნდა მოუაროს? რომ ოზურგეთის მაზრას დღეს სასწავლებელი აღარა ჰყოფნის, ცხადია. ერთად-ერთი საქალაქო და სასულიერო სასწავლებელი გაჭედილია ყმაწვილებით და ნახევარი შინ ბრუნდება უადგილობის გამო. მერე ვინც ამ სასწავლებლებში კურსს ასრულებს, რა დიდი ფაიდაა იმისგან? წერა-კითხვის ძლივ ძლიობით მცოდნე კაცები მაზრას ფეხზედ ვერ დააყენებენ, „ჩინოვნიკებადაც“ არ ივარგებენ. ნეტა ერთხელ დაფიქრებულან ოზურგეთის ან ვაჭრები, ან ინტელიგენცია, ან მაღალი წოდება იმაზედ, რომ შეიძინონ ისეთი სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება?!

რას მოქმედებენ ოზურგეთლები, რა არის იმათის სულისა და ხორცის სამეცადინო და სავარჯიშო საგანიო, იკითხავს მკითხველი ბოლოს: თუ ყველაფერი დასაწუნი აქეთ, ნუ თუ სძინავთო? არა, არ სძინავთ. როდესაც კატა, ან მელია თავის საკბილოჩიტს ეპარება, იგი ამ დროს სულგანაბული გაწვება მიწაზე და შეუმჩნევლად თითო ბიჯს სდგამს წინ, სანამ არ იგდებს კლანჭებში თავის მსხვერპლს და არ გაუქრობს სიცოცხლეს. სწორედ ამ მდგომარეობაში არიან ოზურგეთლებიც: ისინიც მუდამ გაწოლილნი, სულ-განაბულნი ეპარებიან რომელსამე თავის მეზობელს. ოზურგეთლის ყურადღება და ძალა ერთიანად მიღეულია იმაზედ, რომ ლუკმა არ დაეკარგოს და პირცარიელი არ დარჩეს. მთელი გარშემო ქვეყანა მისთვის დაბნელებულია, და გინდა ყველაფერი ერთიან გადიბუგოს და დაინარცხოს, იმას არ დაგიდევს, ოღონდ თითონ გადარჩეს და თავის არჩეული სალუკმო არ დაეკარგოს. როდესაც ერთს ლუკმას იგდებს კბილებში, მერე მეორეს მიუბრუნდება და გაუწევება, მერე მესამეს და ასე, ამ რიგად მუდამ გაწოლილნი არიან. ახლა ხომ გაიგეთ, საითაც მიისწრაფება ოზურგეთელთა სული და გული. მდიდარნი მაინც იქნებიანო, გაივლებთ გულში. „ქურდს ქურდი ჰპარავსო“, ნათქვამია, და ოზურგეთელნიც ამ თქმულებას ასრულებენ, რადგან ერთმანეთს აუბედურებენ, ამიტომ იმათი გაწოლაცა და სულის განაბვაც წყლის ნაყვაა და ჯიბეში არც ერთს არაფერი რჩება. დედანი ამ ქალაქისა რას აკეთებენო, მოიწადინებთ შეტყობას. ისინი, მართალია, გაწოლილნი არ არიან, მაგრამ წამოწოლილნი-კი მხარ თეძოზედ და სიზარმაცის ოფლს იშრობენ მარაოთი მარჯვნივ და მარცხნივ ქნევით. ამათ ნეტარებას არ არღვევს ის აზრი, რომ მიჰბაძონ სხვა ქალაქების ქალებს, რომლებიც ებრძვიან უმეცრებას, ჰმართვენ ქალებისათვის სასწავლებლებს თავისის მეცადინეობით და სცდილობენ ქალებიც ადამიანებად გამოიყვანონ. აქაურს მანდილოსნებს ჭირიკანაობის მაღალი სასწავლებელიც-კი დაუარსებიათ და ნამდვილის სასწავლებლისა კი ორი პირველი განყოფილებაც ვერ შეუნახავთ. დიდი მეცადინეობა ჰმართებთ ოზურგეთელებს, რომ თავიანთი ოზურგეთი მართლა ქალაქს დაამსგავსონ. დროა გამოფხიზლდნენ და თვალები მოიფშვნიტონ. ნუ იქმნებიან კმაყოფილნი თავისის აწმყო მდგომარეობით და უკეთესის ცხოვრების მოსაპოვებლად იღვაწონ, თორემ მათზე გამართლდება ანდაზა: სულელ კაცს ცოტაც გაუკვირდებაო.

# დეპეშა

6 სექტემბერი

პეტერბურგი. როგორც გაზეთი „Новое Ввемя“ გვატყობინებს, სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ პროექტს იმის შესახებ, რომ ხერსონის გუბერნიაში გაიმართოს უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელიო.

პარიჟი. ვენასა და სოფიაში ხმა დადის, რომ სტოიანოვი მოჰკლეს ან თითონ მოიკლა თავი, მაგრამ არც ერთს გაზეთს არა სჯერა ეს ამბავი. „Temps“-ი ამბობს, რომ სტოიანოვი წვეთისაგან მოკვდაო.

სოფია. საერო კრების პრეზიდენტის სტოიანოვის გვამს მოასვენებენ რუშჩუკს და აქვე დაასაფლავებენ.

ჰანოვერი. მემკვიდრე ცესარევიჩი მოვიდა გუშინ ღამით, შპრინგედგან, და პირდაპირ ალტონს წავიდაო.

თეირანი. შაჰი ექვსის კვირის შემდეგ დაბრუნდება თავისს სატახტო ქალაქს.

კერინის მახლობლად ხოლერა გაჩნდა; ჰფიქრობენ ბაღდადიდგან შემოპარულიაო. დღეში ხუთი კაცი კვდებაო.

პარიჟი ინჟენერთა საზოგადოებამ მიიღო დღეს 250 რუსეთისა და ისპანიის ინჟენერი. ეიფელმა ოქროს მედალი გადასცა სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების მთავარ ინჟენერს ბოროდინს.

ლონდონი. ნავთსადგურებში მუშაობის დაწყება მეტად გაჭირდაო: მუშებმა თუმცა ამას წინად პირობა დადვეს, რომ საქმეს შეუდგებიან, არ უნდათ იმათთან ერთად იმუშაონ, ვინც მათთან ერთად წინაამღდეგობას არ ეწეოდა. ზოგის ნავთსადგურის მუშები თავს დაესხნენ ამათ. ამის გამო დირექტორებმა სამსახურიდგან დაითხოვეს უწესოების ჩამდენნი.

პეტერბურგის ბირჟა, 5 სექტემბერი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — " | — " | 7 66 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — " | — " | 152¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — " | 1 12 | — " |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 262½ | — " | — " |
| —მეორისა . . . . . | 238¼ | — " | — " |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — " | — " | — " |
| ქუთაისის ბანკისა . . | — " | — " | — " |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — " | — " | — " |

ვაჭრისადგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . | 3½ | " |
| " 2 " | 3 | " |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | " |
| " " 2— | 4 | " |
| " " 3 " | 3½ | " |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . | 5 | " |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | " |
| მე-3 — . . | . | " |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | " |
| " 2 " | 7 | " |
| სუკი . . . | 14 | " |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | " |
| ღორის ხორცი . . | " | " |
| " 2 " | " | " |

# განცხადებანი


ახალი წიგნი

„მიბაძვა ქრისტესი“

თხზ. თომა კემპელისა

ისყიდება ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების მაღაზიებში, ბათუმში—მოსე ნათაძესთან, გორში—არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში, ცხინვალში—ქეთევან ქურულისას, ახალციხეს—მღვდელ გვარამაძესთან, ხონში—ძმ. წერეთლების მაღაზიაში.

ფასი წიგნისა ყდითა და ორის სურათით—70 კაპ., უყდოდ და უსურათოდ 40—კაპ.

საწყობი წიგნისა გორშია, არ. კალანდაძისა და ნ. ზარიძის სტამბაში. (5—5)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება დირსის მარიამ მეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | " | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . | " | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | | 1 |
| საუმაწვილო ამბები . . . | " | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | " | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | " | 80 |
| სურამის ციხე . . . | " | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . | " | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | " | 40 |

კერძო ექიმ.

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისეულ და გალვანისეულ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—6)

მის. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—40)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ - სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—27)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მერვე.

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1889—90 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსავლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ავთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუჩარიანცს ტფილისს. (12—10)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 6-го Сентября, 1889 года. სტამბა გ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე